№ 40
თებერვლის 20, ხუთშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 40
თებერვლის 20, ხუთშაბათი 1903 წ.
1903

პირველ თებერვლიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ქველობა ივანეს ასული ელისოვისა იაკობ დავითის ძე დავლაშეროვი და ილია იოსების ძე ელისოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ძმისა და მეორე ბიძისა

აბრამ ივანეს-ძის თამაზოვისას

და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზედ შაბათს 22 თებერვალს პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. წირვა და ანდერძი იქნება წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში ხარფუხს. (2—37—2).

ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია ასრულებს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

ასრულებს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—87)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, გარდა გამოცხადებულის აგენტებისა (იხ. № 31), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე . . . ქუთაისში,
2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე „
3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი. „
4, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი. „
5, თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი. საჩხერეში.
6, თ. ქაიხოსრო გელოვანი ლეჩხუმში,
7, ბესარიონ ჭელიძე ზუგდიდში,
8, ზაქარია იოელის ძე ნაცვლიშვილი სიღნაღში,
9, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე. ბორჯომში,
10, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა . , . . განჯაში,
11, აბელ იაშვილი . . . დუშეთში,
12, მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვილი . . . ცაგერში,
13, ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე ყარსში.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოკოლევსკი—ოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ვ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საზებით ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-
(წლ.

ტფილისი

◆ ყაზიბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ 9 მარტს გაიმართება „სობრანიაში“ სამუსიკო და დრამატიული საღამო სცენის მოყვარულთა დახმარებით. „საღამოს“ მოჰყვება ცეკვა. დიასახლისად იქნება კნ. ნ. ელ. ქობულოვისა.

◆ კვირას, 23 თებერვალს, ქართული დრამატიული დასი დაიწყებს წარმოდგენების გამართვას; წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა; დასში მოწვეულნი არიან ზოგიერთა მსახიობნი ქუთაისის დასიდგან.

◆ ქართული თეატრის მსახიობთ ბ.ბ. აბაშიძეს და მესხს შეუდგენიათ დასი, რომელიც მომავალ გაზაფხულს და ზაფხულს გაემგზავრება საქართველოს სხვა-და-სხვა ქალაქებში წარმოდგენების გასამართავად; დასში მონაწილეობას მიიღებენ ქ.ქ. ეფემია მესხისა, ტასო აბაშიძე, ბ.ბ. მესხი, აბაშიძე და სხვანი.

◆ კვირას, 23 თებერვალს, არტისტიულ თეატრში დაიწყება საოპერო წარმოდგენები; წარმოდგენილი იქნება ოპ. „დუბროვსკი“ მუს. ნაპრავნიკისა; დუბროვსკის როლს შეასრულებს ბ. ბორისენკო.

◆ დღეს ქალაქის სადგურში დანიშნულია ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს 1902 წლის ხორცის დუქნების შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა; კომისია განიხილავს აგრეთვე სხვა-და-სხვა პირთა განცხადებას, რომელნიც ქალაქის ნაპირა უბნებში ხორცის დუქნის გახსნას თხოულობენ.

◆ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას წარსულ გამოფენის გამართვიდგან 24 ათასი მანეთი ვალი დაედო, სხვა-და-სხვა პირისა. სამეურნეო საზოგადოებამ მიმართა კავკასიის მთავარ მართებელს, რომ მან იშუამდგომლოს ფინანსთა მინისტრის წინაშე, დახმარება აღმოუჩინოს ამ ვალის გარდაწყვეტაშიო; სამეურნეო საზოგადოებას ამ დღეებში მიუღია მთავარ-მართებლის კანცელარიიდგან ცნობა, რომ მინისტრმა უარი განაცხადა ამ ვალის გარდახდისაო; ზოგიერთა მოვალეებს უკვე მიუციათ სასამართლოში საჩივარი და საზოგადოებისაგან ითხოვენ ვალის გარდახდას.

◆ ხვალ, 21 თებერვალს, დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება უმაღლესად წარმოგზავნილ პროგრამის კითხვების განსახილველად.

◆ რადგანაც ბაქოსა და ტფილისს შუა მატარებლების შეჯახებამ რკინის გზის ლიანდაგი გააფუჭა, ამის გამოისობის ბაქოდგან ტფილისში მომავალი მატარებელი ყოველ-დღე იგვიანებს 8—9 საათით; გუშინ-წინ ბაქოდგან მომავალმა მატარებელმა დაიგვიანა 9 საათით; ხოლო ტფილისიდგან დანიშნულ დროზედ ბათუმისკენ მიდის სხვა მატარებელი

◆ ელექტრონით გამნათებელ საზოგადოებების წარმომადგენლებს არა ერთხელ მიუმართავთ საგუბერნიო ამშენებელ განყოფილებისათვის და უთხოვნიათ, ამა თუ იმ ქუჩაზედ ელექტრონის გაყვანა; რადგანაც საგუბერნიო განყოფილებამ არ იცის, როგორ დააღწიოს თავი ამ მდგომარეობიდგან, ამიტომ მან ქალაქის გამგეობას მოსთხოვა სია იმ ქუჩებისა, რომლებზედაც შეიძლება ელექტრონის მავთულების გაყვანა.

◆ არა ერთხელ ვაუწყებდით მკითხველებს, თუ უბორნობისა გამო, რა მდგომარეობაში არიან ავლაბარში და ჩუღურეთში მცხოვრებნი, რომელთაც საქმე აქვთ გამოღმა; აგერ ეს მეორე თვე მიდის, რაც ბორნის მიმოსვლა შეწყვეტილია, იმის შეკეთებას როგორც აღმოჩნდა, დიდი არაფერი უნდა, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყავს; ბორნის მოიჯარადრე ბ. ბუდლანოვი ქალაქის გამგეობაზედ აგდებს ბორნის შეკეთებას, ქალაქი კიდევ ბუდლანოვზედ; თუ ეს უბრალო მოთხოვნილება ვერ დაუკმაყოფილებია ქალაქს, აბა როგორ შეიწუხებდა თავს მუხრანის ხიდის გამართვით; აკი ეგრეც მოხდა: ჯერ კიდევ 80 წლებში ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა სხვა-და-სხვა შენობების აგება; ამ შენობათა შორის აღნიშნული იყო მუხრანის ხიდის გამართვა, რადგანაც ამ ხიდის გამართვა საბჭომ იცნო ერთ უსაჭიროეს მოთხოვნილებათ, გაღმა-გამოღმა მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად; ქალაქის საბჭომ კიდეც გარდასწყვიტა ესესხათ 750 ათასი მანეთი ამ შენობების ასაგებად; ჯერ კიდევ მაშინ რამდენმამე პირმა გამგეობაში წარადგინეს ამ ხიდის პროექტი, რომლებიც განხილულ იქმნა კიდეც ტეხნიკებისა და ხმოსნებისაგან შემდგარ კომისიის მიერ კომისიამ უჩვენა კიდეც წყარო, თუ საიდგან უნდა დახარჯულიყო ხიდის ასაგებად ფული; საუბედუროდ, ამ საქმეს ერთი დაბრკოლებაც აღმოუჩნდა: აქეთ-იქითა მტკვრის პირზედ მემამულეებმა ძვირად დაუფასეს ქალაქს ხიდისთვის საჭირო ადგილები; 1888 წელში, უმაღლეს ბრძანების ძალით, ეს ადგილები მამულის პატრონებს უნდა დეეთმოთ ქალაქისთვის; 1889 წელს შესდგა კიდეც კომისია, რომელმაც დააფასა ეს ადგილები 49,425 მან. დამფასებელმა კომისიამ ოქმი წარუდგინა გუბერნატორს და მას აქეთ არის ეს საქმე მივიწყებული; ჯერ კიდევ წარსულ შემოდგომის ერთ-ერთ საბჭოს კრებაზედ ხმოსანი ბაბოვი შეეკითხა თავმჯდომარეს, რა მდგომარეობაშია მუხრანის ხიდის საქმეო; გამგეობის წევრმა ბ-ნმა ჩერქეზიშვილმა უპასუხა რომ ეს საქმე გუბერნატორის კანცელარიაშიაო; ამაზედ ბ-ნმა სულხანოვმა შენიშნა: მოგეხსენებათ, კანცელარიებში როგორ სწარმოებს საქმეებიო; იქ თუ საქმეს გულშემტკივარი არავინ ყავს, კაცი მალე ვერ ეღირსება პასუხსაო; ამიტომ კარგი იქნებოდა, ან შეჰკითხებოდით, ან შეეკითხოთ, რა ბოლო მოელის ამ საქმეს; 18 ამ თვეს ხმოსანმა ბაბოვმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში ამავე საგნის შესახებ. ბაბოვი, მიაქცევს რა გამგეობის ამ ხიდის გამართვისადმი ყურადღებას, დასძენს: აქ ხიდის გამართვა ერთს უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენსო, საქმის მალე დასაბოლოვებლად გთხოვთ დანიშნოთ კომისია, რომელსაც მიენდოს ამ უსაჭიროეს საქმის განხილვა და დაბოლოვებაო.

◆ ტფილისის სასანიტარო საექიმო განყოფილება, გამგეობის მიწერილობით, კვლავ განაგრძობს ქალაქის სასწავლებლებში მოსწავლეების დათვალიერებას.

◆ კავკასიის საექიმო განყოფილების მართველობას განუზრახავს ტფილისში ყვავილის ასაცრელად შრატის მოსამზადებელი სადგური გამართოს.

◆ ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ. ბროძელი, სამსახურისა გამო, გაემგზავრა ქართლში.

◆ ტფილისის მაზრის ექიმი ბ. მაჭავარიანი გაემგზავრა ბორჩალოს მაზრაში.

◆ ტფილისის ვაჭართა უსტაბაშმა წარუდგუნა გუბერნატორს დასამტკიცებლად ვაჭართა საზოგადო კრების დადგენილება, რომ ლზედაც მათ გარდასწყვიტეს, ტფილისის სა კომერციო სასაწავლებელში დააარსონ ას სტიპენდია, ტფილისის ღარიბ ვაჭართა შვ ლების აღსაზრდელად ამ სასწავლებელში.

◆ ამ დღეებში ტფილისიდგან ერევნის კენ, ინჟინერ ფედულოვის მოთავეობით, გა მგზავრება ინჟინერთა დასი, რომელმაც უ და გამოიკვლიოს რკინის გზის მიმართულებ ერევნიდგან თავრიზისკენ და იქით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ ტფილისის გუბერნიის საქარხნო ინსპექცია შესდგომია ქარხნების დათვალიერებას.

◆ რკინის გზების სადგურებზედ აქამდე უმეტესი ნაწილი ბუფეტის პატრონებისა თითქმის სულ ქართველები იყვნენ. ყველგან მათ საუკეთესოდ მიჰყავდათ ვაჭრობის საქმე და ბუფეტებსაც, როგორც პირველ კლასისას, ისე მეორესას, მეტად სუფთად და კარგადაც ინახავდნენ. ქართველთა ნიჭიერება ამ საქმის მართვაში თვით მთავრობისაგანაც იქმნა ცნობილი. ამ გარემოებამ ისე მოაწყო საქმე, რომ თვით კასპის ზღვის იქით ტაშკენტის და ასხაბადის ბუფეტებსაც-კი თითქმის სულ ქართველებს (იმერლებს) აძლევდნენ; ყაზანის თათრები შეეცილნენ და მთავრობამ უწყო ხელის გამართვა და ბუფეტების ძლევა, მაგრამ ყაზანის თათრებმა ამ სარბიელზედ ვერაფერი ნიჭი გამოიჩინეს. საქმე ისევ ქართველებს დარჩათ.

◆ თუ რამდენად სჩაგრავენ ტფილისში მოსამსახურე ბავშვებს, ეს სჩანს შემდეგის გარემოებიდამ. ამას წინად ტფილისში ჩამოუყვანიათ ერთი გურული ბავშვი, გვარად მოლოზონია, 13—14 წლისა. ეს ბიჭი ერთ ოჯახში თვეში მანათად ყოფილა მოსამსახურედ. ოთხ თვეს მდგარა საწყალი, ეხლახან ავად გამხდარა, ძრიელ შეწუხებულა, ჯერ ისევ მოურჩენელი და მასთან ტიტველ-შიშველი ბავშვი შინ გაუგზავნიათ. ბილეთი აელო ალას და ათი შაურიც ფულად მიეცა. ამდენი ხნის ნამსახურმა ბიჭმა ტფილისში შეიძინა მძიმე ავადმყოფობა და მხოლოდ შინ დასაბრუნებელი ფული და მით შინიდამ ჯანსაღად წამოსული, შინ სნეული დაბრუნდა.

ასეთი მაგალითები ხშირად მომხდარა ჩვენს კურთხეულს ქალაქში.

◆ ამას წინად ტფილისში გარდმიცვალა ერთი ხელოსანი ახალ-გაზრდა კაცი, რომელიც ჯარში ყოფილა გაწვეული ამ სამის წლის წინად. ეს ახალგაზრდა კაცი ჯანით სავსე იყო და არავითარი სნეულება არ ჰქონდა. რაღაც მანქანებით მისთვის ერთ ჯადოქარ დედაკაცს უსწავლებია, ისეთ წამალს დაგალევინებ, რომ შენ მცირედ დასნეულდები, და ბოლოს ჯარის-კაცობისაგან განთავისუფლდებიო. წამალი აი რა ყოფილა: მახორკა მოუხარშავთ ცხარე ძმარში და ეს დაულევინებიათ. საბრალო პაციენტი ისე დასნეულებულა, რომ ჯარის-კაცობისაგან-კი განთავისუფლებულა, მაგრამ სხვაფრივაც ხეირი არ დაჰყრია, ყელის სიპლექე გასჩენია და გარდაიცვალა კიდეც.

ჩვენებური ამბები

დ. ცხინვალი. ვისაც-კი კალმის აღება შეგვიძლიან და ორიოდე სიტყვის თქმის ძალა შეგვწევს, კალმის აღების თანავე, ერთსა და იმავე სხვის ნათქვამს ვიმეორებთ. ვერტუშკა, ლოტო, ბანქო და სხვა არაფერი. თითქო ამაზედ მეტი გასაჭირი და საზრუნველი აღარა აქვთრა ცხინვანელელებსაო. რაც სათქმელია, რასაკვირველია, ის უნდა ითქვას. მაგრამ დრო გამოშვებით და არა ერთსა და იმავე დროს ათჯერ და ათასჯერ. მერე ისიც მაშინ, როდესაც სათქმელი და გასაკეთებელი უთვალავია, როგორც შიგ ცხინვალში, ისე მის მიდამოთა შორის.

ან ვინა ბძანდებიან ეს ბედნიერთა ბედნიერნი, რომლებსაც ოჯახური თუ საზოგადოებრივი საქმე უკუ უგდიათ და დღე და ღამ თვალის ჩინს იწყალებენ, ჯანსა და ღონეს ალევენ ამ ყოვლად მახინჯ საქმეს?! ვინა ბძანდებიან მეთქი, ვიკითხე, იმიტომ რომ ცხინვალში ოთხის სხვა-და-სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს. სახელდობრ: ქართველი, ოსი, სომეხი და ებრაელი, მთლად ერთ ენაზედ მოლაპარაკე ხალხი და სირცხვილი არ არის ჩვენთვის (კორესპონდენტებისათვის), ეს უკანასკნელი ექვსი ათასი სულისაგან შემდგარი ხალხი ერთ ტაფაში მოვაქციოთ, ესე იგი სომხების ცოდვა ქართველებს მოვახვიოთ და ურიებისა—ოსებსა და სხვა? მართალია, სხვის დანაშაულს კაცი თავისად არ მიიღებს, მაგრამ მკითხველის თვალში ვამცირებთ მთელ საზოგადოებას, ჩირქსა ვცხებთ. ამას გარდა, დამნაშავეთა კვალიც იკარგება, რაკი მთელ საზოგადოებაზედა გვაქვს ლაპარაკი და არა ნამდვილ დამნაშავეზედ.

მართლაცა და რა შუაშია ის მიწის მუშა, რომელიც დილით საღამომდის ბარსა და თოხს ატრიალებს და საღამოზედ დაღლილ-დაქანცულ ჯანს ასვენებს ძილში. ან რა ხმა ამოგვეღება ამათ ოჯახობაზედ? რა გვეთქმის იმ ხელოსნებზედ, რომლებიც ერთხელვე ნაკისრ საქმეს ჩაჰკირკიტებენ? რა გვეთქმის იმ ვაჭარ ხალხზედ, რომელნიც სწორე ადლსა და სასწორს ხელში არ აბრუდებენ? რა გვეთქმის იმ მასწავლებლებზედ, რომელნიც ამ რთულსა და მძიმე საქმეს პირნათლად უძღვებიან? რა გვეთქმის იმ მოძღვრებზედ, რომელნიც ქრისტეს ნაანდერძევს გულ-მოდგიინეთ ასრულებენ და არცა სცალიანთ თქვენის ვერტუშკა ნარდისათვის და, თუ მათ შორის უმცირესობა სცდება და სცოდავს, აქ უმრავლესობა რა შუაშია? მაშასადამე, ჩვენ, ვინც-კი თვალყურს ვადევნებთ მათ მოქმედებას, პირუთვნელი მსჯავრი უნდა დავდოთ და სიმართლე უნდა ვამხილოთ, როგორც შემცოდე დამნაშავეთ, ისე მთელს ერს, თუნდაც ეს მხილება წამებათაც დაგვიჯდეს. მე ვგონებ მანამდის ვერც მოვსპობთ ვერც ერთს უგვან საქმეს.

ახლა ავიღოთ დაზღვევის საქმე. საქმე ავადმყოფების დაზღვევა. ამ საქმის შესახებ გამოძიება უკვე სწარმოებს. ამ სენმაც იმავე სომხობაში იჩინა თავი და აი როგორ: ერთმა გრიგორიანმა თავისი მოხუცი დედა დააზღვევა (როგორ, ეს ჩვენში დარჩეს). სულ ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც დაზღვეული. კაი ძალი ათ თუმნიანები მიიღო დამზღვევმა. გაიგეს თუარა ეს ამბავი, უფრო სომხობა შეინძრა: ზოგმა უძლური დედ-მამა დააზღვევა და ზოგმაც—გარეშენი. ასე გაშინჯეთ, ერთმა ყმაწვილმა გრიგორიანმა საწამლავით მოწამლა თავისი დაზღვეული, მაგრამ საწყალს ნაკლები დაელივნა და გადურჩა სიკვდილს, რასაკურველია, ექიმის შემწეობით. ეს მსხვერპლი გამბედავი გამოდგა და საჩივარი დააპირა. საცოდავმა აგენტმა ინთილა იკრა და შიშის მსხვერპლი შეიქმნა. ეს თუმცა ასე მოჰხდა, მაგრამ ცხინვალელებმა, ამ ერთხელვე სიმდიდრის სურვილით გატაცებულებმა დაწყებილ საქმეზედ ხელი არ აიღეს. და საკვირველი უფრო ის არის, სოფლი-სოფლად, შოულობდნენ უფრო დაავადებულ ავადმყოფებს, რომელთაც ორი პარასკევი წინ აღარ ედოთ. მაშ როგორა ჰშინჯავდა ექიმიო?—მკითხავთ და მეც მოგახსენებთ ნამდვილ გადმონაცემს, დაიჯერებთ თუ არა—ეგ თქვენი სურვილია. თურმე ჯან-საღ ადამიანს აძლევდნენ რამდენსამე თუმანს და ავადმყოფის სახელითა ჰნათლავდნენ; ზოგნი მოგახსენებენ, ეს საიდუმლო მოქმედება აშკარათ იცოდნენ როგორც დამზღვევ საზოგადოების აგენტებმა, ისე ექიმმა, რომელიც ამოწმებდაო. ამ საერთო ფერხულმა, როგორც ქართველები, ისე ოსები, როგორც ერი, ისე ღვდლებიც ჩაითრია. ზოგნი ისეთებიც ჩაერივნენ, რომელთაც ორის თვის საზრდო არა ჰქონდათ, ზოგმა მამული დაატყვევა, ზოგიერთებმა ამხანაგობა შეადგინა და ისე დაიწყეს მოქმედება. აი, ამ საერთო მოძრაობაში იყო ხალხი, რომ ვიღამაც დაასმინა მთავარ სააგენტოში, საიდანაც თავიანთი აგენტები აფრინეს და ამ შავ ბნელით მოცულ მოქმედებას ფარდა გადაჰგლიჯეს და მთლად უკანონობაზედ აგებული საიდუმლოება დაანახვეს ხალხს და ყველანი პასუხის გებაში მისცეს. ერთი მიცვალებული ცხინვალში ამოსთხარეს და ერთსაც ოსებში უპირებენ ამოთხრას. ასეა, ვინც მოასწრო ფულის აღება იცინის, ვინც არა და სტირის, და გულზე ხელს იცემს, დღე და ღამ დიოგენის ფარნით დაეძებს იუდა გამცემელს ამოდენა ხალხისას, რომ ღირსეულად აცვას ჯვარს.

ეხლა ვკითხოთ ამ სიმდიდრისათვის გატაცებულ ხალხს, უხრიკავი საქმე სახრიკავად რად გაიხადა?! ნუ თუ პატიოსნური შრომითა და ვაჭრობით ფული არ მოიგება, ნუ თუ სახელოვანი სიკვდილი არა სჯობიან ნაძრახ სიცოცხლეს?!

მაგრამ ამ გვარი ლაპარაკი პატიოსნურის შრომით შენაძენის შესახებ მეტი ბარგია. ასე გაშინჯეთ, თითო ოროლა კვალი ვენახი აქვთ და ამასაც სხვისა ხელითა მუშაობენ. ეტყობა, პატიოსნური შრომა საძრახისად მიაჩნიათ და ზემო ჩამოთვლილის სიყალბით გამდიდრება-კი—სასახელოდ. სწორედ მიზეზიც ეს უნდა იყოს, რომ ცხინვალელები, თითო-ოროლას გარდა, ვაჭრებათ არ ვარგანან. ხელობას ხომ ისე უფრთხიან, როგორც ურია—ღორის ხორცს და მიზეზიც ეს არის, რომ ვაჭრებათა და ხელოსნებათ უმრავლესობა შემოსული ხალხია, რომელიც ძალზეა გაბეგრილი. აი, ეს ფარნის ფულიო ეს ეკკლესიისაო და სხვა-და-სხვა. თითონ აქაურნი მკვიდრნი კი ნახევრობით გორს მიეწერნენ და რისთვისმე რომ მიადგე კარზედ, პატიოსნათაც გამოგლანძღავენ, მე გორის მოქალაქე ვარ და ნება არა გაქვს კანონით მომთხოვო რამეო. ეს გორის მოქალაქე და ცხინვალის მემკვიდრე უხარჯოდ გამოდის და სოფლიდგან შემოსული-კი ცხინვალის მაგიერ ხარჯს იხდის. ამ ხარჯის გაღებასაც არაფრად ჩასთვლის, რომ შესაფერი გადასახადი ერქვას, ანდა აბუჩად არ იჭერდნენ. ხშირად გამიგონია, მოუსვათ ხელი ამ მოთრეულებს და სული გავრეკოთო; ესენი რომ აქ არ იყვნენ, კოდი პური ორი აბაზი იქნებოდაო. ამას ისეთები ამბობენ, თავად არ იციან, რომელი კუთხიდან არიან ჩამოსულები.

აი, ამგვარი და უარესი სხვა ხდება ამ დაბაში და აქედგან იბადება ეროვნული შური და მტრობა. უსათუოდ ამ უმგზავს სენსაც ბოლო უნდა მოუღონ ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა მოწინავე ხალხმა. ნუ დაგვავიწყდება, მეოცე საუკუნე დადგა და ცხინვალელებს-კი დღესაც ვერ შეუგნიათ, რომ, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო. სიყვარულს-კი ერთობა გამოიწვევს. ამ შეერთებას მაშინ ჩავთვლით შეერთებად, როდესაც ეროვნულ შურსა და შენჩემობას ბოლო მოეღება. შეერთებულის ძალღონით დაიარსებენ მათთვის საჭირო სასწავლებელს, საკვირაო სკოლას თავის სამკითხველოთი, შეადგენენ ამხანაგობას, დააარსებენ საერთო სავაჭრო დუქანს, გააკეთებენ დღევანდელ დაღორო-ჩოღროებულ გზებს, ჩანგრეულ ბოგირებს, როგორც ცხინვალისას, ისე ახლო-მახლო სოფლებისას, იმ სოფლებისას, რომლებიც ამ ათას კომლიან დაბასა ჰკვებავენ და ასაზრდოებენ. ეს ღვთის ანაბარად მიტოვებული ხალხი, რომელსაც გლეხებს ეძახიან, დიდ სიკეთეს უწევს, როგორც ცხინვალელს, ისე გორელს და სხვას. ეს ვიცით და ვერც თვით ცხინვალელ-გორელები იტყვიან უარს, რომ ასმევ-აჭმევენ, იმის და გარდა, გზებსაც ეს გლეხები უკეთებენ ბევრათ, და არ იტყვით, მადლობას რითი უხდიან? იმითი, რომ დატვირთულ ურმების ქირა მიაქვთ ცხინვალიდან გორში. ჩამოუქროლებს ჯერ ერთი დანჯღრეული დილიჟანი და ყვირის, ხაბარდა თქვე ასეთებ-ისეთებოვო და მიაქანებს სამფეხა ცხენებს და თან მათრახის ცემითა ყრილობს ჯავრს. ამას მოსდევს მეორე, მეათე, და ეს საცოდავები ცვივიან ძალაუნებურ ხრამში (კანავაში) და ესენი-კი უსირცხვილოდ ხარხარებენ. ეს უდიერობაა, უსირცხვილობა და სხვა არაფერი.

განა რომელი ერთი მაითმინოს გლეხმა?! აბა, თუ კარგი დაბაა ცხინვალი, გაიმართოს საერთო დუქანი, იქონიოს ყოველივე, რაც-კი სოფლისათვის საჭიროა და ხელმისაწვდენ ფასად მიჰყიდონ. აგრეთვე შესაფერ ფასად იყიდოს მათ მიერ შემოტანილი ყოველივე ნაწარმოები და აიცილონ ყოველივე სიყალბე თავიდან. მოუმართონ გაჭირვებაში ხელი, მაგალითად, მკის დროს (ამ დროს კოდს ექვს აბაზად პურს იკვეთს ჩარჩი გაჭირვებულ გლეხისაგან და ოთხ აბაზად ქერს), სიკვდილისა და სხვა-და-სხვა დროს. როდესაც ამ სიკეთეს მოიქმედებენ, დარწმუნებულნი ვართ, ეს აუარებელი, როგორც ქირნახული, ისე ხილეული, ხელიდგან არ წაუვათ, როგორც დღეს ეზიდებიან ჩვენთვის უცნობი აისორები, თათრები, კროები და სხვანი. ლუკმა გავარდეს,—იტყვიან ხოლმე,—ჯამში ჩავარდესო. ან რას იზარალებენ ცხინვანელელები, სოფელსაც მიიამხანაგებდეს და მოგებაში წილს ჩაუდებდეს. თუ ამ ამხანაგობაში ვერაგი ხელი არ გაერია, დარწმუნებულნი ვართ, მოგება ზღვათ გადაიქცევა. აგრეთვე ხელთ უნდა იგდონ ცხინვანელებმა ეტლთა მოძრაობა. დააწესონ შესაფერი ფასი, ყველას ზდილობიანად მოექცნენ და ხელი აიღონ მეუფერებელ და სამარცხვინო სიტყვა-პასუხზედ. ამაბში ცხინვალელი მეტის მეტი უზრდელია. მაგალითად, სოფლის პატიოსან ოჯახიშვილს შემოაქვს ჰირნახული: ეჰი, ქედანა ტეტია, რა გაქვს გასაყიდიო,—მიაძახებენ აქეთ-იქიდგან. მაგალითად, ღორი ან ინდაური მოჰყავს: ეჰი, ღორო, ინდაურო! ამისთანა სიტყვა-პასუხით იხსენიებენ, ისიც ვის? ამისი დაფიქრება სრულიად არა აქვთ. ერთი იკითხეთ, ღვთის გულისთვის, პატიოსანი სიტყვა-პასუხით რა დააკლდებათ, მაგრამ ეჰ, წერტილები გავამრავლოთ და ვსდუმდეთ მანამდის, სანამ ცხინვალელი ადამიანის სახეს შეიმოსავს...

ჟინცა ვარ.

კავკასია

ქართული დღესასწაული და საღამო ერივანში.

ამ წლის 14 და 26 იანვარი სახსოვრად დაგვრჩება აქაურ ქართველებს. 14 იანვარს ვიდღესასწაულეთ წმ. ნინოობა. პოლტავის პოლკის საყდარში დეკანოზის ი. იორდანიშვილის მიერ გადახდილ იქმნა ქართული წირვა და პარაკლისი. წირვასა და პარაკლისზე დაგვატკბო ქართულის გალობით მოყვარულთა გუნდმა პოლტავის პოლკის მღვდლის დ. ვარდიაშვილის ლოტბარობით. წირვას დაესწრო უმრავლესობა აქაურ ქართველთა. უნდა გენახათ, რა ნასიამოვნები გამოდიოდნენ ეკკლესიიდგან, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გვღირსა დედა-ენაზე წირვა-გალობის მოსმენა.

—

26 იანვარს აქაურმა ქართველებმა გავმართეთ ქართული საღამო „ქ. შ. წ. კ. გამარ. საზოგად.“ სასარგებლოდ. საღამო გაიმართა საქალაქო საკრებულოს დარბაზში, რომელიც მშვენივრად იყო მორთული. ერთ კუთხეში იდგა გურული ფაცხა, მორთული ნოხებით და თამარ-მეფისა და სხვათა სურათებით; მეორე კუთხეში იდგა ქართული ურემი ტიკით; მესამე ადგილას იდგა ყვავილებით და ლენტებით მშვენივრად მორთული დიდი კალათა ხილით. ეს სულ ერთს ოთახში. აქ გამართული იყო ბუფეტი, სადაც ვაჭრობდნენ ქალები, დიდად პატივცემულის კნეინა ნაკაშიძის მეთაურობით.—დიდი დარბაზი კონცერტის დროს დაფენილი იყო ნოხებით. ერთს კედელზედ გამოკიდული იყო დიდი სურათი მეფე ერეკლეს ციხე და სასახლის ნაწილისა თელავში. ნოხებით მორთულ ამ კედელზედ ეკიდა პორტრეტები ხემწიფისა და ქართველ მწერალთა.

საღამო შესდგებოდა ორის ნაწილისაგან. იგი დაიწყო „ქართულის მარშით“, თხზულება პოდპოლკოვნიკის ნ. ა. მრევლიშვილისა. ეს „მარში“ შესდგება ქართულის სხვა-და-სხვა კილოებისაგან, და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე. „მარში“ შეასრულა მოყვარულთა ორკესტრმა, ავტორის მონაწილეობით. საზოგადოებამ გაამეორებინა იგი და ტაშის-ცემით და ვაშათი დააჯილდოვა მისი ავტორი. „ქართულ მარშს“ გარდა, ორკესტრმა შეასრულა კიდევ რამდენიმე პიესა ბელლინისა და კელლერ-ბელლასი. თვით მრევლიშვილმა დაუკრა სოლო ვიოლონჩელზე რუბინშტეინის რომანსი. პირველ განყოფილებაში სახალხო სკოლების ინსპექტორმა ვ. ი. ვორობიოვმა მშვენივრად წაიკითხა რუსულად „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა, თხორჟევსკის ნათარგმნი; ხოლო მეორე განყოფილებაში (რუსულადვე) ბ. პ. პისარევსკიმ ერთი ნაწილი გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოდგან“ და ბ. ს. ვისსალაძემ სხვა-და-სხვა ლექსები. ბ-ნი ვისსალაძე ჩვენი „საღამოსათვის“ განსაკუთრებით მოვიდა ალექსანდროპოლიდგან, სადაც იგი ხარჯის ამკრებ ინსპექტორად არის. იმას მშვენივრი დიკცია აქვს და მართლაც არტისტულად კითხულობს ლექსებს. ძალიან უნდა ეხერხებოდეს მას დრამატიული თამაშობა და ფრიად დიდი შენაძენი იქნება ქართულის თეატრისათვის, თუ ბ-ნი ვისსალაძე ეცდება ტფილისში დაბინავებას და ქართულს სცენას სამსახურს არ მოაკლებს.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

სოფელი და სოფლელნი

(შემდეგი მეშვიდე წერილისა *)

თავად-აზნაურობის ვითარება და გადენა

თავად-აზნაურობის ვითარება, მნიშვნელობა და ყოფა-ცხოვრება წარსულმა საუკუნემ სრულიად შესცვალა. როგორც უწინდელი ყოფა-ცხოვრება და აწმყო ვითარება არა ჰგავს ერთმანეთს, ისე არაფრით შეედარება ეხლანდელი თავად-აზნაურობა ძველ ფეოდალურ თავად-აზნაურობას.

ძნელად წარმოსადგენია ის მიმართულება, რა მიმართულებისაც იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიული ცხოვრება. ამაზედ სჯასა და ბაასს თავი უნდა დავანებოთ.

საქართველოს ყოფა-ცხოვრება და წეს-წყობილება იმ დროს, როდესაც ჩვენი სამეფო რუსეთის იმპერიას შეუერთდა, თითქმის იმ გვარივე იყო, როგორიც საშუალო საუკუნოებში ევროპის ცხოვრება. ის ცხოვრება და წეს-წყობილება უეცრივ შესწყდა, შეირყა და ძლიერ სახელმწიფოს ზედგავლენით სულ სხვა, არა ჩვეულებრივ გზას დაადგა, იმ გზას, რომელსაც თვით საქართველო ვერას ლონისძიებით ვერ გაიკვლევდა ერთის საუკუნის განმავლობაში.

ძალიან საყურადღებოა კავკასიის ნამესტნიკის თავად ვორონცოვის აზრი, რომელიც კავკასიის მთავარ-მართებელმა ერთს თავის მოხსენებაში გამოსთქვა. აი, ის აზრი, რომელსაც თავის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: „საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი შეცდომა იქნება, თუ ჩვენ ეხლანდელ (1841 წ.) ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ ხალხს დავუწყებთ იმ თვალით ცქერა, რა თვალითაც ვუყურებთ განათლებულ ევროპის ქვეყნებს, სადაც აწმყო პოლიტიკური მდგომარეობა დამყარდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში; აქ (ამიერ კავკასიაში) სამოქალაქო ყოფა-ცხოვრება თითქმის იგივეა, როგორიც იყო ევროპაში მე-XIII და მე XIV საუკუნოებში; ფეოდალური წეს-წყობილება ზოგ ალაგას, განსაკუთრებით იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში, დაცულია სავსებით; მხოლოდ სხვა-და-სხვა ალაგას ეს წეს-წყობილება ცოტათი განსხვავებულია სხვა-და-სხვა გარემოებათა მიზეზით... მაგრამ უმთავრესი საფუძველი ფეოდალურ უფლებისა თითქმის შერჩენილია; ეს წეს-წყობილება თანდათან უნდა შეიცვალოს და დამყარდეს ის უფლება, რომელიც ევროპის ხალხს აქვს მინიჭებული; ამით შეიძლება ნამდვილი კეთილმყოფობა მიენიჭოს ამიერ კავკასიის მცხოვრებელთ და ამ ხალხს უქადის მომავალში ბრწყინვალე ბედნიერებას, რომელსაც ამასთანავე მჭიდრო კავშირი ექმნება რუსეთის სარგებლობასთან“... *)

თ. ვორონცოვის აზრით, ამიერ კავკასიაში ხალხის ყოფა-ცხოვრების და წეს-წყობილების შეცვლა უეცრივ შეწყნარებული არ უნდა ყოფილიყო, არამედ საჭირო იყო ამ ცხოვრების შეცვლა სიფრთხილით და თანდათან შემოღება ახალის წეს-წყობილებისა. მაგრამ ის სიფრთხილე, რომელსაც კავკასიის ნამესტნიკი უმაღლეს მთავრობას ურჩევდა და რომლის შემწეობითაც ჩვენში დამყარდა ახალი წეს-წყობილება, მაინც თვალ-საჩინო იყო, რადგან ყველა ცვლილება ჩვენში, რომელიც ვითომ თან და თან მოგვევლინა, მხოლოდ ერთის საუკუნის განმავლობაში დამყარდა, მაშინ როდესაც ევროპაში ამ გვარისავე ცვლილების და წესწყობილების გამეფებას რამდენიმე საუკუნე მოუნდა.

ვისთვის არ არის ცხადი, რომ საქართველოს ყოფა-ცხოვრება ასის წლის განმავლობაში ძირიან-ფესვიანად შეიცვალა და ყველაფერს სულ სხვა ფერი დაედო.

რუსთაველმა ბრძანა, გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგიო; და მართლაც ჩვენმა თანამედროვე მგოსანმა ეს სიტყვები გაამართლა, როდესაც ახალი ხანა მოკლე სიტყვებით აღნიშნა: „რაც ვიყავით, ის აღარა ვართო“...

დიაღ, ეხლა ყველა სხვაა და დროის შესაფერად თავად-აზნაურობაც სულ სხვაა: ამ უკანასკნელ ასის წლის განმავლობაში თავად-აზნაურობას ჩამოერთვა ყოველ-გვარი განსაკუთრებული უფლება, რომელიც წარსულმა ცხოვრებამ მიანიჭა. სამაგიეროდ, ამ წოდებას ებოძა ის უფლება და წეს-წყობილება, როგორიც შიდა რუსეთის ყველა გუბერნიის თავად-აზნაურობას ჰქონდა და აქვს დღემდე.

ყველა აღნიშნული ცვლილება მოჰხდა ჩვენში ისეთის სისწრაფით, რომ თავად-აზნაურობამ ვერ მოახერხა მოეწყო თავისი ცხოვრება ახალ დროს შესაფერად და ვერ გაიკვლია ვერავითარი საიმედო გზა. მრჩეველიც აღარავინ იყო, რადგან არავის ეცალა: მთელი ერის ძალ-ღონე სახელმწიფო სამსახურს შეელია.

პირველი ხანა წარსულის საუკუნისა სამხედრო ხანა იყო; კავკასია საომარ ველად გარდაიქცა. საუკეთესო გამოჩენილნი წარმომადგენელნი ჩვენის ერისა ერთგულად იბრძოდნენ იმპერიის გასაძლიერებლად, რუსეთის ძლევამოსილ ჯარს ეტრფოდნენ და, მასთან ერთად, საქართველოს უწინდელ მტრების წინააღმდეგ იბრძოდნენ და იპყრობდნენ ოსმალეთის, სპარსეთის, თათრის ხანების და ლეკთა ქვეყნებს.

ეს მიმართულება, როგორც ჩვენის ისტორიის შედეგი, მეტის-მეტად ძლიერი და სტიქიონური იყო. ამ ძალას ყველა უნებლიედ დაემორჩილა.

ვერავის ვერ შეეძლო ამ საომრო მიმართულების შეჩერება: ვინც წინ გადაეღობებოდა, იმას ხალხის მღელვარე და მოდიდებული გრძნობათა ტალღა ჩანთქავდა. ამ სამხედრო მიმართულებით გატაცებულნი იყვნენ ყველანი, მეტადრე წარჩინებულნი, განათლებულნი და „ნიჭით ცხებულნი“ წარმომადგენელნი ჩვენის ქვეყნისა.

ერი თითქო ჯავრს იყრიდა, დრო შეირჩია, და ამ ბრძოლაში სურდა სამშობლოს

---

*) იხ. „ივერია“ 1902 წ. №№ 26, 27, 37, 51, 52, 53, 60, 65, 94, 96, 252, 260.

*) „Вообще надлежитъ замѣтить, что крайне ошибочно было бы смотрѣть на настоящее населеніе Закавказскаго края съ той точки зрѣнія, съ которой мы привыкли смотрѣть на просвѣщенныя государства Европы, вѣками приведенныя къ нынѣшнему политическому ихъ устройству. Здѣсь гражданскій бытъ является почти въ такомъ же видѣ, въ какомъ онъ былъ въ Европѣ въ XIII и XIV столѣтіяхъ. Формы феодальныя въ нѣкоторыхъ частяхъ Закавказскаго края, преимущественно въ Имеретіи,Мингреліи и Гуріи, сохранились во всей ихъ полнотѣ; въ другихъ же мѣстахъ онѣ нѣсколько измѣнились по обстоятельствамъ... Но главныя начала феодальнаго права большею частью сохранились, и въ этомъ то правѣ и постепенномъ переходѣ его въ настоящее народное право Европы надлежитъ искать тѣхъ примѣненій, которыя могли бы благодѣтельно дѣйствовать на закавказское населеніе и уготовить ему будущность столько же блистательную, сколько и тѣсно связанную съ пользами Россій»...

როგორც პირველ, ისე კონცერტის მეორე ნაწილში გუნდმა, რომელიც შემდგარი იყო რუსთა, სომეხთა და ქართველთაგან, პოდპოლკოვნიკის, ნ. ა. მრევლიშვილის ლოტბარობით, შეასრულა შემდეგი ქართული სიმღერები: „ჩუხჩუხით“, „მგზავრული“, „მერცხალი“, „ფაცხა“, „ივანანა“, „გავლესოთ ძმებო“, „გოგონა“ და სხვები; აგრეთვე ორი რუსული სიმღერაც. საკონცერტო ნაწილი უნაკლულოდ იყო შესრულებული. საზოგადოებას, რომელიც შესდგებოდა თითქმის სულ რუსებისა და სომხებისაგან, პირველად ესმოდა ქართული ჰანგები; ძრიელ მოეწონა იგი, მრავალჯერ გაამეორებინეს და ვაშათი დააჯილდოვეს მომღერალნი, რომელნიც გამოწყობილნი იყვნენ ქართულს ქულაჯებში. საკონცერტო ნაწილის მოწესრიგება და ხორის მომზადება თავიდგანვე იკისრა პოდპოლკოვნიკმა ნ. ა. მრევლიშვილმა, და მართლაც სასახელოდ შეასრულა ნაკისრები საქმე; არ დაუშურია არც დრო არც ენერგია; სული ჩაუდგა გუნდსა, და თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ, თუ არა პატივცემული ნ. ა. მრევლიშვილი, ჩვენს სალამოს არავითარი ქართული ელფერი არ ექნებოდა.

კონცერტის შემდეგ გაიმართა ბალი, რომელიც დაიწყო ლეკურით. მოლეკურე ტფილისიდგან იყო მოწვეული ბ-ნი ლევან ციმაკურიძე, რომელმაც თავისი ცქრიალი თამაშით მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ლეკურს მოჰყვა ევროპიული, ევროპიულს-ლეკური და ასე ამგვარად გაგრძელდა ღამის სამს საათამდის. სამს საათზე საზოგადოება დაიშალა დიდათ ნასიამოვნები.

სალამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. საკრებულოს დარბაზში ტევა არ იყო; მრავალი უკან დაბრუნდა უბილეთობის გამო. შემოსავალი იყო სულ 1220 მან.; დაიხარჯა 470 მ. წმინდა შემოსავალი დარჩა 750 მანეთი, რომელიც გაეგზავნა „საზოგადოების“ გამგეობას.

სალამოს გამგედ იყო პატივცემული თავადი ს. გ. მიქელაძე, ერევანის საოლქო სასამართლოს წევრი; დეკორატიული ნაწილი ებარა ინჟინერს გ. გ. ჩხეიძეს, ხოლო შემოსავალ-გასავალს აწარმოებდა პორუჩიკი კ. მ. კაკაბაძე. ბ-ნმა გამგემ ყოველი ღონე იხმარა, რომ არ შევრცხვენილიყავით და ჩინებულად წარმართულიყო „ქართული სალამოს“ საქმე. სიმართლე მოითხოვს ვსთქვა, რომ არა თუ ზემოაღნიშნულმა პირებმა იზრუნეს მარტო, არამედ არ დარჩენილა არც ერთი ქართველი (ქართველთა რიცხვი აქ სულ 40-მდის იქნება), რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს სალამოს წარმატებისათვის და ასე თუ ისე არ ეზრუნოს მისთვის. მაგრამ მაინც არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ „ჩვენს სალამოს“, გარდა ზემოხსენებულთა, დიდი ამაგი დასდეს კნეინა ნაკაშიძისამ, კნეინა მიქელაძისამ, ქ-ნმა კაკაბაძისამ, ვანო ზედგინიძის მთელმა სახლობამ, მღვდელმა დ. ვარდიაშვილმა დით და სხვებმა.

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ულრმესი და გულითადი მადლობა გამოვუცხადო, როგორც ზემოხსენებულს პირთ, აგრეთვე ყველა იმათ, ვინც ხელი შეუწყეს სალამოს გამართვას, იმ სასიამოვნო გრძნობისა და შთაბეჭდილებისათვის, რაც ჩემზე მოახდინა პირველმა „ქართულმა სალამომ“ ერევანში. ამასვე გრძნობს დღეს ერევნელი ყველა ქართველი.

გარდა იმ ნივთიერი სარგებლობისა, რომელიც „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ეგზავნება, ამ სალამომ კიდევ სხვა სარგებლობაც მოგვიტანა. იგი გახდა ჩვენი შემაერთებელ-შემაკავშირებელი ძაფი. 30—40 ქართველი, რომელებიც ერევანში ვსცხოვრობთ, გაფანტული ვართ სხვა-და-სხვა დაწესებულებაში და აქამდის ერთმანეთს თითქმის არც-კი ვიცნობდით. „სალამომ“ ერთმანეთი გაგვაცნო და დაგვაახლოვა. კერძოდ მე, თქვენი უმორჩილესი მონა, ერთხელ კიდევ დამარწმუნა ამ „სალამომ“, რომ ქართველი კაცი—საზოგადოდ უმოქმედო სამშობლოსათვის—თუ საქმეს შეიგნებს, წახალისდება და უღელში შეებმის, დარწმუნებული იყავით, ყოველ ღონეს იხმარს, რომ ლელო გაიტანოს.

გ. ბურჭულაძე.

რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს განსაკუთრებულს კომიტეტს დაუდგენია, აღკრძალოთ უფასო სახალხო ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს ჟურნალის „ვესტნიკ ვოსპიტანია“-ს გამოწერა.

— „კიევლიანინ“-ის სიტყვით, ვოლინელს ყოვლად სამღვდელო ანტონის ასეთი ცირკულიარული წინადადება მიუცია თავის სამწყსოს სამღვდელოებისათვის: როგორც მესმის, ბევრი მღვდელი მღვდელ-მსახურების აღსრულების სასყიდლად არაყს იღებს მაშინ, როდესაც ამგვარი სასყიდლის აღება აღკრძალულია. მღვდლები ამ შემაძრწუნებელს სისაძაგლეს სჩადიან და თავს იმართლებენ სამღვთო წერილის სიტყვებით: „ყოველივე მოცემა კეთილ არს“. უწმიდესი სინოდი მღვდლებს ავალებს, სიფხიზლის საზოგადოებანი დააარსეთო და მღვდლები-კი თვითონ ჰყიდიან თავის სახლში არაყს, იმ არიყს, რომლითაც ვაჭრობა საერო კაცისათვისაც აღკრძალულია უპატენტოდ. ამისთანა სისაძაგლე თუ კიდევ შევამჩნიე რომელსამე მღვდელს, დავსჯი სამსახურიდგან დათხოვნითაო“.

უცხოეთი

ბულგარია. სოფიის გაზ. „ახ. დღიურში“ დაბეჭდილია ბულგარიის მთავრობის ცირკულიარი, საზღვარ გარეთ მყოფ ბულგარიის სადიპლომატო წარმომადგენელთა მიმართ.

„ბულგარიის მთავრობამ დანამდვილებით უწყის, რომ ოსმალეთი დიდ სამხედრო მზადებაშია; ბევრად მეტ ჯარსა ჰკრებს, ვიდრე მაკედონიაში მოსალოდნელ აჯანყების ჩასაქრობადაა საჭირო. ეჭვს გარეშეა, რომ ეს მზადება ბულგარიის საწინააღმდეგოდაა მიმართული, ვინაიდგან ოსმალეთი უმთავრესად ადრიანოპოლის ვილაიეტში უყრის ჯარს თავსა, ამაგრებს მის ციხე-სიმაგრეებსა და ამზადებს საფარ-სანგლებს საზღვრებზედ. მეორეს მხრით, ის ხმები, რომელსაც ოსმალეთის მთავრობა სისტემატიურად ავრცელებს, ვითომ ბულგარიის მკვიდრნი მეტად სასტიკად ექცეოდნენ ოსმალებს, ან კიდევ ისა, რუშჩუკის ოლქში მეამბოხეთა რაზმებს ამზადებენო, ცხად ჰყოფს, რომ ოსმალეთი მხოლოდ მიზეზს ეძებს, ბულგარიას ომი გამოუცხადოს. ამგვარი მდგომარეობა აღელვებს ჩვენს ქვეყანას და იძულებულ ჰყოფს ბულგარიის მთავრობას, ყოველ შემთხვევაში, საჭირო ღონისძიებას მიჰმართოს. მხოლოდ ბულგარიის ასეთი საქციელი რამდენადმე შეაფერხებდა იმ დიდ სახელმწიფოთა შრომას, რომელთაც თავს იდვეს მაკედონიის საქმეთა გადაწყვეტა.

ამის გამო ბულგარიის მთავრობა საჭიროდ ჰრაცხს, ვიდრე რამე გარდაწყვეტილებას დაადგებოდეს, ყოველივე აცნობოს დიდს სახელმწიფოებს. გავალებთ თქვენ, ბ-ნო სადიპლომატო აგენტო, ყოველი ზემოხსენებული აუწყოთ იმ მთავრობას, რომლის კარზედაც თქვენა ხართ, და მოითხოვოთ, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ რაიმე ღონისძიება, რათა ოსმალეთის მთავრობამ შესწყვიტოს სამხედრო მზადება.

— სოფიის სლავიანთა საქველმოქმედო საზოგადოების მიერ არჩეულ საგულდაგულო კომისიის წარმომადგენელი ველჩევი, „ახ. დღ.“-ის სიტყვით, დეპეშით აუწყებს დუბნიციდგან სოფიას,—კიდევ მოვიდნენ მაკედონიდგან ლტოლვილნი—მამაკაცნი, დედაკაცნი და ბავშვნი—სულ 104 სული. ლტოლვილთა შორის სხვა-და-სხვა გადამდები სენი მძვინვარებს, რაიცა აორკეცებს მათს უნუგეშო მდგომარეობასაო.

— იგივე გაზეთი იუწყება,—თანახმად სოფიაში მომხდარ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა, ყველა მინისტრმა დაუგზავნა თავის ხელქვეითთ უწყებათა ცირკულიარული მიწერილობა, რომელიც სასტიკად უკრძალავს მოხელეებს, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ მაკედონიის მოძრაობაში, არც ქონებრივი დახმარება აღმოუჩინონ, თორემ მაშინვე სამსახურიდგან იქნებიან დათხოვნილნი.

სამხრეთ-აფრიკა. ამ დღეებში ჩემბერლენი ბრუნდება სამხრეთ აფრიკიდან მეტად გულნაკლული და შემომწყრალი აფრიკანელების კავშირზედ. ეს მოსალოდნელიც იყო... როცა ჩემბერლენს უკანასკნელად ქონდა თათბირი კავშირის წარმომადგენლებთან, მერრიმანთან და გოფმეიერთან კაპშტადტში, მან გადაჭრით უარ-ჰყო გადასინჯვა კაპის ახალშენში არსებულ სამხედრო წესებისა.

ხმა არის გავრცელებული, ვითომ, გორდონ სპრიგის სამინისტროს მაგივრად. ახალი შეერთებული სამინისტრო სდგებაო. აფრიკანდერები სრულიად უარ-ჰყოფენ ამ ხმას: ისინი ამბობენ, რომ პომავალი სამინისტრო შეერთებულ დასთა სამინისტროდ თავის დღეში არ იქნებაო; არამედ იგი იქნება ან პროგრესიული, ან და აფრიკანდერთა მომხრეო.

საბერძნეთი. როგორც სტამბოლიდან იუწყებიან, დელიანისს უცნობებია ოსმალეთის მთავრობისათვის: „მზადა ვარ შევკრიბო საბერძნეთში ვოლონტიორთა რაზმები და წარმოვგზავნო თქვენდა სამსახურად ბოლგარელ მეამბოხეებთან საბრძოლველადა“-ო. ბერძენთა სამარცხვინოდ, ოსმალეთს ამ მეგობრულ დახმარებაზედ უარი განუცხადებია; სხვის დაუხმარებლადაც ადვილად შევიძლებთ, მეამბოხენი დავთრგუნვოთო.

სხვა წყაროებიდგანაც აშკარად მტკიცდება, რომ საბერძნეთმა საქვეყნოდ განუცხადა ოსმალეთს,—მაკედონიაში ბოლგართა მოძრაობის საწინააღმდეგოდ შემწეობას მოგცემო. გარდა ამისა, ამბობენ, ვითომ საბერძნეთს გადაეწყვიტოს,—დროებით კრიტის კუნძულის შემოერთებას თავი დავანებოთ და ვეცადოთ, ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედ დაცულ იქმნას Status duo-ო. სჩანს, საბერძნეთს იმედი არა აქვს რაიმე წილი დაიდოს მაკედონიის საქმეებში და ყოველის ღონისძიებით სცდილობს, რომ ბოლგარიაც მშრალად დარჩეს.

— მარტის 7-ს ათინას მიელიან გერმანიის მემკვიდრე პრინცსა.

ბოსტანი და ბოსტნეულობა.

ნიადაგის თვისებანი.

მიწა ბევრნაირია: სილიანი, თიხიანი, შავი მიწა, ქვიანი, კირიანი მიწა და სხვა. თითოეულ ამათგანს აქვს თავისი ღირსება და ნაკლულევანება, რომლის გაცნობა საჭიროა მეურნესათვის.

სილიანი მიწა.

სითბო-სიცივის ცვალებით, ჭაერის და წყლის (თოვლის, წვიმის) ზედ მოქმედებით მთები და ქვები იფშვნება, წვრილ ხრეშად ან მტვრად იქცევა. ეს ფშვნილი ხრეში შესაძლებელია ან იქვე დარჩეს, სადაც ქვა დაიშალა, ანდა წყლის, ქარის და სხვა მიზეზით გადატანილ იქმნას სხვა ადგილზედ. ამ ნაირი მიწა იქნება შლამ-დადებული მიწა (паносная земля). სილიანი მიწა ორნაირია: ერთი შესდგება მსხვილ მარცვლებიდგან და მეორე უფრო წვრილ მარცვლებისაგან. მსხვილ მარცვლიანი სილიანი მიწა ადვილად არ აჰყვება ქარს და ერთ ადგილიდგან მეორეზედ არ გადავა ქარის ძალით; ვერას უზამს აგრეთვე წვიმა და წყნარი მდინარე. წვრილ სილას-კი ქარი ადვილად მოაშორებს მის ადგილს; მცენარეც ვერ მაგრდება ამისთანა მიწაზე და ადვილად ეფინება მიწას:

სილიანი მიწა ფხვიერია და ამიტომ მისი დამუშავება ძალიან ადვილია. ამისთანა მიწა მხურვალეა და ცოტაოდენი სიცხე, რომელიც სხვა ადგილებს ვერას ავნებს, სილიან მიწას გამოაშრობს და მით მცენარეებს ართმევს ღონეს და ძალას მიიღოს საკვები ნივთიერებანი მიწიდგან. სილიან მიწაში (ზეადგში) წყალი ვერ დგება, სულ ჩადის ქვევით და შეიძლება, მხოლოდ იქ შედგეს, სადაც მცენარეების ძირები ვეღარ მისწვდება. სილიან მიწაში საკმაო წყალი იქნება მხოლოდ შემოდგომას, ზამთარს და გაზაფხულზედ. შუა გაზაფხულიდგან, თითქმის შემოდგომის დაწყებამდე ეს მიწა მშრალია, მაშასადამე, მცენარეებისთვის საჭირო საკვები ნივთიერებანიც არ არის იმ მდგომარეობაში, რომელიც საჭიროა მცენარისთვის აღორძინების დროს. ამაზედ შეგვიძლია, დავამყაროთ ორი პრაქტიკული დასკვნა: 1) თესლები სილიან მიწაზედ უნდა დაითესოს, რაც შეიძლება ადრე, გაზაფხულში და, თუ ანეულის პური უნდა დაითესოს, მაშინ უნდა დათესონ, როდესაც ზეადგში გაჩნდება სისველე.

2) მხურვალე მიწაში ნეხვი მალე ლპება და, რადგანაც ამისთანა მიწაში წყალი ვერ დგება და ქვევით ჩადის, ამიტომ, ამისთანა ადგილი უნდა მოინაკლოს (გაპატივდეს) ხშირად და პატარ-პატარა, თორემ წყალი ადვილად გამორეცხს ნეხვის ნოყიერებას.

ვისაც სურს გამოაკეთოს სილიანი მიწა, შეამციროს სიმხურვალე, შეაყენოს მასში წყალი, რომ დიდხანს შეინახოს ნეხვის ნოყიერება და ქარმაც ვერ წაიღოს,—საჭიროა სილიანი მიწა მონაკლოს რქიან საქონლის ნეხვით, ან და თიხიან მიწით.

რქიან საქონლის ნეხვი ცივია, ბევრი წყალი აქვს და უფრო მაგარია, სქელია, ვიდრე სხვა საქონლისა.

თიხიანი მიწა.

წმინდა თიხიანი მიწა, თავის თავად უვარგისია შინაური მცენარეთათვის, თუმცა საკვებ ნივთიერებით მდიდარია. ნუ დავივიწყებთ, რომ მდიდარი მიწა შეიძლება უღარიბესი გახდეს მცენარეთათვის, თუ მისი საკვები ნივთიერებანი გამოუდეგარ მდგომარეობაშია, ე. ი. მაგარია, წყალში გაუხსნელი.

თიხიანი მიწა ერთობ მაგარია, მაშასადამე მისი დამუშავება უფრო ძნელია, ვიდრე სილიან მიწისა, და ამიტომ სახნისებიც უფრო მაგარი უნდა იყოს როცა მშრალ თიხიან მიწას ხვნენ, სახნისი მსხვილ ბელტებად თხრის მიწას და მისი დამტვრევა ერთობ ძნელია იმ იარაღებით, როგორიც ჩვენა გვაქვს. სველი თიხიანი მიწა ვერც-კი იხვნება ხეირიანად, რადგანაც ეკვრება სახნისს, და საქონელს დიდი ჯაფა ემატება. თიხიანი მიწა მდიდარია წყლით და ამიტომ ერთობ ცივია, მაშასადამე ნეხვი მალე არ დალპება, თუ ხელი არ შეუწყეს როგორც რიგია. თიხიან მიწას ყოველთვის ასუქებენ ცხელ ნეხვით, ცხენის ნეხვით, სილით, ან აფხვიერებენ.

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება)

ნარკვევი

„Бирж. Вѣдом.“-ში საათფთიაქო საქმის სპეკულიციის შესახებ ლვოვის საყურადღებო წერილია დაბეჭდილი.

„საათფთიაქო საქმის სპეკულიაცია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საათფთიაქო პრივილეგია, რომელიც ღვიძლი შვილია არსებული საათფთიაქო მონოპოლიისა, ერთ უსაზარლეს და უსაშინლეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს დღეს. მისი წყალობით, ადამიანის ტანჯვა-წვალება ყიდვა-გაყიდვის მსხვერპლი გახდა. მთელი ვეებერთელა სახელმწიფო ნაწილებად დაიყო; თვითეულ ნაწილში პატრონობს და ბატონობს თითო ჩარხი, რომელსაც დიდ ფასად უყიდნია განსაკუთრებული უფლება „სხვაზე უკეთესად“ ჰყვლეფოს [illegible] მომგვრელი თვისება ადამიანისა—ავად გახდომა. რა შემაძრწუნებელი სურათია, როცა რომელიმე ჩარხს, რომელსაც ინჩი არ გაეგება ფარმაციისა, უყიდნია უფლება აფთიაქის გახსნისა რომელიმე რაიონში. ამავე დროს კი ამავე ჩარხის მეზობელს ფარმაცევტს, რომელსაც კარგად ესმის აფთიაქის საქმე, არ აძლევენ ნებას აფთიაქის გახსნისას, თუ ბლომად არ დახარჯა და მონოპოლისტი არ გახდა.

მაგალითად: ახალ-ნადეჟდინის აფთიაქი, რომლის წლიური შემოსავალი უდრის 31000 მანეთს, გაუყიდნია 95,000 მანეთად.

სლონოვის აფთიაქი—წლიური შემოსავალი —24000 მ. გაუყიდნია—80,000 მ. ლიტმანის აფთიაქი—წლიური შემოსავალი 28000 მ., გაუყიდნია 100,000 მ., ლიიგოვის აფთიაქი—წლიური შემოსავალი 13000 მ. გაუყიდნია 44,000 მ.

როგორც ხედავთ, აფთიაქის გახსნის უფლებისათვის სამჯერ მეტს აძლევენ, ვიდრე წლიური დასტრიალებელი თანხაა. აფთიაქის მეპატრონე ცდილობს ჯერ პროცენტი მაინც აიღოს თავის დახარჯულ თანხაზე და მერე-კი წმინდა მოგებაზე ჰფიქრობს. ამისათვის ის იძულებულია ეკონომია დაიჭიროს ყველაფერში, დიპლომიანების ადგილზე შაგირდები იყოლიოს. გამოუცდელი შაგირდები იმ მოვალეობას ასრულებენ, რაიცა დიპლომიანებს უნდა გაეკეთებინათ, შაგირდები მეტს მუშაობენ, და ნაკლებ ხელფასს იღებენ.

საქმის ამ გვარ ვითარებას შემდეგ დასკვნამდე მივყევართ: აფთიაქის შემოსავალი სპეკულიაციას უნდება, წამალს გამოუცდელი უმაწვი-

---

დიდის ხნის ტანჯვა-ვაების სამაგიერო გადაეხადნა. ეს იყო ერის მიერ სისხლის ძიება... ყველა კუთხეს, ხევს, სოფელს ახსოვდა ის აოხრება, რომელიც სამშობლოს არა ერთხელ მოაყენეს შაჰ-აბაზმა, აღა-მაჰმად-ხანმა, თათრებმა, ლეკებმა და ოსმალოებმა. ყველა ესენი ჩვენ მამაპაპათ მოსისხლე მტრად მიაჩნდათ და მათის ქვეყნების დამხობა და განადგურება ყველა ქართველისათვის სანატრელი შეიქმნა.

ამ დროსვე, როგორც უმაღლეს მთავრობას, ისე რუსეთის და საქართველოს საზოგადოებას თავის მოვალეობად მიაჩნდა სომხების განთავისუფლება მტარვალთა ხელიდგან.

ამ ბრძოლაში უფრო თავ-განწირული იყო და მეტს მონაწილეობას იღებდა თავად-აზნაურობა, როგორც უფრო განვითარებული, მხნე და დაწინაურებული ნაწილი ჩვენის ერისა.

ამ ბრძოლამ იმსხვერპლა დიდი ნივთიერი და გონებითი ძალ-ღონე ერისა: რაკი მთელი ერი სამხედრო მიმართულებამ გაიტაცა, ყველა პატივსა სცემდა და შეჰხაროდა მხოლოდ იმას, ვინც სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა; ყოველი ოჯახი თავის საუკეთესო წარმომადგენელს ამზადებდა სამხედრო სამსახურისათვის და შვილის აფიცრობით და ვაჟკაცობით ამაყობდა; თავის სარჩო-საბადებელს არა ჰზოგავდა, ოღონდ-კი თვალ-საჩინო ოჯახის შვილი არ გამოჰკლებოდა სწორთ. რომელსამე სოფლელს დაჯილდოებულს ჩინით, ჯვრით, მენდლით ანუ ტემლაკით პატივსა სცემდა დაწინაურებული საზოგადოება და გლეხ-კაცობაც; სოფელში დიდიდან პატარამდე იცოდნენ რომელ ომში და რა საქმისათვის დააჯილდოვეს მათი მოძმე, რომლის სამსახურით მთელი სოფელი ამაყობდა.

ხშირად ახალგაზდობას დავიწყებული ჰქონდა რომლისამე ოჯახის გვარი, რომელსაც დაჯილდოვებული მხედარი ეკუთვნოდა და ამ უკანასკნელის ოჯახს სოფელში უწოდებდნენ: „მაიორის ოჯახს“, „ურადნიკის ოჯახს“, „კაპიტნის ოჯახს“ და სხვა... ვგონებ ყველას ენახვება წერილი ანუ არზა, რომელზედაც ჩვენებურ დიდ-გვარის შვილებსაც გვარის წინ აღენიშნოთ თავისი ჩინი: „როტმისტრი და კავალერი“, „პრაპორჩიკი და კავალერი“, „მაიორი და კავალერი“ და სხვა...

დიაღ, ასეთი ძლიერი იყო ჩვენში სამხედრო მიმართულება, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ჩვენს საზოგადოებაში.

ერი, რომელიც დიდძალ დროს ანდომებს ომიანობას და რომლის საუკეთესო შვილნი სამხედრო სამსახურს ეწევიან, ყოველთვის ნივთიერად, გონებით და, მაშასადამე, სულიერადაც ძირს იწევს. სწორედ ასეთი შედეგი მოჰყვა ამ ხანას. მთელმა ჩვენმა ერმა ძალიან დაიწია და დაბეჩავდა. თავად-აზნაურობამ ამაშიაც უპირველესი დაწინაურებული ადგილი დაიჭირა.

ამ დროს ნივთიერად გაძლიერდა ვაჭარი, რომლის წარმომადგენელი, ჩვენდა საუბედუროდ, თითქმის სულ უცხო (სომხის) გვარტომისა იყო. ვაჭართა კლასი სამხედრო მიმართულებას და სამსახურს ასცილდა და იმ დროს საძრახის შრომას, ე. ი. ვაჭრობას მიეტანა. გენერალი, აფიცერი, მილიციონერი ნივთიერად ქვეითდებოდა და „მირკიტანტი“ და მედუქნე-კი ძლიერდებოდა.

რადგან ქართველი მხედარი ყოველ დღე სიკვდილს ელოდა, ყაირათობაზე ზრუნვა მისთვის მეტი ბარგი შეიქმნა, მედუქნე, ვაჭარი-კი ემზადებოდა ცხოვრებისთვის და კარგად იცოდა, რომ უფულოდ, უქონებოთ ვერ აცხოვრებდა ოჯახს, ამიტომ ყაირათობა თავის მოვალეობად მიაჩნდა: იტანდა დაცინვას, ყოველგვარ უპატიობას, მაგრამ ყაირათობასკი არ უღალატა და თითქმის სიძუნწემდე მიაღწია.

ამ ორის მეზობლად მცხოვრებ ხალხის და ამასთანავე კლასის ასეთი მიმართულება ამ ხანამ უფრო გააძლიერა, და რა შედეგი მოჰყვა ამას, ყველას თვალ წინა აქვს...

ყველა ამას დაუმატეთ ისიც, რომ მთავრობამ დააჯილდოვა თავად-აზნაურობა, როგორც თავისი ერთგული მომხრე, სხვა-და-სხვა სამხედრო და სამოქალაქო ხარისხით და ამ უპირატესობით, ღირსებით და სამსახურით დაიახლოვა, მეტადრე თ. ვორონცოვის დროს. ამ გარემოებამ უფრო დიდი ხარჯი გამოიწვია და ამ მხრივაც თავად-აზნაურობის დიდმა უმრავლესობამ ნივთიერად უკან დაიწია და ძალიან დავალიანდა.

მე 40—60 წლებში მთავრობა დიდ ქომაგობას უწევდა თავად-აზნაურობას, და თითქმის მთლად კავკასიის ქართველ თავად-აზნაურობის შემწეობით და დახმარებით განაგებდა; ბევრს მათგანს მთავრობამ დიდი ნივთიერი შემწეობაც აღმოუჩინა: არა ერთს თავად-აზნაურს ებოძა ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი მამულები, ფულად საჩუქარი, კარგი ჯამაგირი, პენსიონი და სხვა, მაგრამ, საუბედუროდ, თავად-აზნაურობის უმრავლესობა ისე შეეჩვია უზომო ცხოვრებას, ქონების ფლანგვას, რომ მთავრობის დახმარებით არამც თუ ისარგებლა, არამედ უფრო გაიხრწნა და ნივთიერად უკან დაიწია.

მხოლოდ თავად-აზნაურობის მცირე ნაწილმა, უფრო მხნემ, დიდ-სულოვანმა და წინდახედულმა თავისი ქონება, არამც თუ არ გაფლანგა, არამედ გააძლიერა კიდეც და ამით დიდი გავლენა და მნიშვნელობა მოიპოვა მე 40—60 წლებში.

მთელ კავკასიაში სახელი განთქმული ჰქონდათ გრიგოლ ორბელიანს, ივანე მალხაზის ძეს ანდრონიკაშვილს, ლევან მელიქიშვილს, გიორ. დავითის ძეს ერისთავს, გიორგი ერისთავს—„ატამანს“, ივ. კონსტანტინეს ძეს ბაგრატიონ-მუხრანსკის, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მამუკა ორბელიანს, კ. მამაცაშვილს, დიმიტრი ყიფიანს ნიკოლოოზ ჭავჭავაძეს, დიმიტრი ჯორჯაძეს და სხვათა. ამათი სახელით ქართველობამ დიდი პატივი დაიმსახურა კავკასიაში და საქართველოს სახელი ყველგან იყო განთქმული.

თავად-აზნაურობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ეს პატივი გაემართლებინა და ამის გამოისობით არავითარს ხარჯს არ ერიდებოდა, ოღონდ-კი რითიმე გამორჩეულიყო ყველგან: რაინდობით, გულკეთილობით, მასპინძლობით, სიუხვით, დარდიმანდობით. ეს თვისებანი თითქმის სათაყვანო შეიქმნა ყველასათვის და საპატიო სახელი მხოლოდ გულუხვს კაცსა ჰქონდა მინიჭებული. ამ დროს ყაირათობა საძრახისი სენი იყო: ყველა გატაცებული იყო ცხოვრების გარეგნობითის ბრწყინვალებით.

თავად-აზნაურობის ნივთიერი კეთილ-დღეობა დაეშვა და უფსკრულს მიეშურებოდა...

ამასთან მთავრობას თავად-აზნაურობის სამსახური ეჭირვებოდა და ამ წოდების ასეთი უსაღსრობა აწუხებდა და აფიქრებდა. თავადმა ვორონცოვმა განიზრახა მიეშველებოდა გაჭირვებულ თავად-აზნაურობას იაფ-სარგებლიანის სესხით. დაარსდა პრიკაზი. თავად-აზნაურობა დაეწაფა ამ წყაროს, როგორც ცის მანანას, მაგრამ ეს მანანა ყველას გულზედ დაადგა...

მ. ტფილისელი.

(შემდეგი მეშვიდე წერილისა იქნება)

დები ამზადებენ; ფარმაცევტის შრომა თანდა-თან აუტანელი ხდება, სამუშაო საათები მეტად ბევრია. ავადმყოფი, რომელიც მისულა აფთიაქში წამლისთვის, 35% მეტს იხდის რომელიმე გაჭრის სასარგებლოდ, ვიდრე წამალი და წამლის დამზადება ღირს. არც ერთს ფუფუნების საგანს არ ადევს ამდენი გარდასახადი. ადამიანის ტანჯვა-წვალება საბირჟო ქონებად იქცა; ადამიანის უბედურება ბირჟაზე იყიდება. ავადმყოფის ინტერესები, წამლის კარგად მზადება სატირედ მდგომარეობაშია, მივიწყებულია. ყველაფერს ჩარჩობის სული უდის. ყველა ამის მიზეზი სააფთიაქო მონოპოლია.

სად არის ხსნა? ხსნა ერთად ერთია: საჭიროა აფთიაქის გახსნის უფლება ფულით არ იყიდებოდეს, მოისპოს ფულის მონოპოლია და მის ადგილას გამეფდეს ცოდნის, მეცნიერების მონოპოლია. აფთიაქის გახსნის უფლება ფარმაცევტს, საქმის კარგს მცოდნეს უნდა მიეცეს. ამით ბოროტება თუ არ მოისპობა, ავადმყოფი 20 პროცენტით მაინც ნაკლებ იყიდის წამალს, დანარჩენი (35%—20%) 15% საქმის გაუმჯობესებას მოხმარდება. ისმინეთ, ვისაც ყური სასმენად გაქვთ და უფლება ხელში...

ნარევი და ნაკვესი

საზღვარ-გარეთის სახელმწიფოებში ძალიან ხშირად იმართება ლამაზი ქალების კონკურსი. საქმე ასეა ხოლმე. დანიშნავენ პრემიას, რომელიც უნდა მიეცეს ყველაზედ ულამაზესს. ქალების კონკურსი ბევრჯელ დიდს აღიქოთს და თავის მტერვეს გამოიწვევს ხოლმე იმის გამო, რომ ერთს შავთვალ-წარბა ქალი მოსწონს,—მეორეს წაბლის ფერ წარბება.

ერთი ორონტრიალი ამ დღეებში იტალიაშიაც მომხდარა. დიდი ხანია, იტალიასაც, სხვა ქვეყნების წაბაძვით, უნდოდა ქალების კონკურსის გამართვა, მაგრამ უოველთვის, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, საქმე ვერ ხერხდებოდა. მილანში ეს საქმე მოუგვარებიათ ამ დღეებში. პრემიის დამნიშვნელთ დაუდგენიათ ხმის უმეტესობით გადაწყვეტა იმისა, თუ რომელი ქალი უფრო ლამაზია მილანშიო. ქალები ამ გადაწყვეტილებით უნდა შეერიდიყვნენ მილანის ერთს ერთს თეატრში დანიშნულ დროს. ქალებმა გაიგეს თუ არა ეს გადაწყვეტილება, კარგად მოირთვნენ და დანიშნულ დროს თეატრში გამოცხადდნენ. თუ როგორ უფანცქალებდათ გული, არა მე შავიდო პრემია, არა მეო,—ამას მკითხველიც კარგად მიხვდება. დიდის ხნის მზერისა და ჭვრეტის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ორი ქალი ერთი ერთმანეთზედ უფრო ლამაზები იყვნენ. მთელი მილანი ორ ბანაკად გაიყო. ორთავე ბანაკი მჭერ-მეტყველურად ამტკიცებდა, არა, ჩვენ მიერ მოწონებული ქალი უფრო ლამაზია, არა, ჩვენ მიერ მოწონებულიო. ერთს ბანაკს დაერქვა წითელი ბანაკი, მეორეს—ცის ფერი, რადგან ერთს ქალს წითელი ბანტი ქონდა ყელზედ, მეორეს-კი—ცისფერი. წითელმა ბანაკმა პრემია მიუსაჯა წითელ ბანტიან ქალს და დაადგინა კიდეც, დიდის ამბით გაეტარებინათ ქალაქის ქუჩებზედ ქალი. ეს ამბავი ყველიერში უნდა მომხდარიყო, მაგრამ მეორე ბანაკმა შეაფერხა საქმე. მან შეუთვალა წითელს ბანაკს, თუ ქალი გამოიყვანეთ ქალაქის ქუჩებზედ, მაშინ თავზედ ხელს ავიღებთ და საშინელს უბედურებას მოვახდენთო. ამრიგად წითელი ბანაკი იძულებული შეიქმნა, საქმე გადადო. ჯერ-ჯერობით ორთავე ბანაკი ჩუმად არის.

ესეც თქვენი კონკურსი!

სან-კენტენის — საფრანგეთშია— მახლობლად მდებარეობს სოფელი ტეპელი. ამ სოფელში ერთს ახალგაზრდა ქალს, სახელად მარგალიტა ბლეინვალს, ოცის წლის წინად დასძინებია სადაობის ძილით და ჯერაც არ გამოღვიძებია. ამ მძინარე ქალს დიდი ხანია თვალ-ყურს ადევნებენ ექიმები. ქალს ამ დღეებში ცალს ხელზედ წყლული გაუჩნდა. ექიმმა შარტიემ გაუჭრა ეს წყლული და ქალიც შეინძრა. ეს განძრევა პირველია ამ ოცის წლის განმავლობაშიო. ექიმებს ახლა ცოტათი იმედი მიეცათ და სცდილობენ, ქალი გამოაფხიზლონ როგორმე.

„ივერიის“ ფოსტა:

დ. ცხინვალს. კ—ე ნოდიას. თქვენი „წერილი ცხინვალიდგან“ არ დაიბეჭდება.

ს. ხვარბეთი. ხვარბეთელს, თქვენი წერილი არ იბეჭდება.

ქვემო ქიზიყის ექიმს. თქვენი პასუხი დაიბეჭდება იმ პირობით, თუ პოლემიკურს ფრაზებს გამოაკლებთ და მხოლოდ ფაქტებს დასტოვებთ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 თებერვალი.

სოფია. მაკედონელთა მოძრაობის მოთავეთა, გენერლის ცონჩევისა, ნიკოლაევისა, მიხაილოვსკისა და სხვათა წინააღმდეგ, აღიძრა სასამართლო საქმე.

საჩუქრები, ბოძებული ხელმწიფე იმპერატორის მიერ ყოფილ ჯარის კაცებისა და კავალრებისათვის რუსის სამხედრო ორდენისა, მიღებულია. ყველა აღტაცებით იხსენიებენ მეფურს მოწყალებას.

ვენა. ბელგრადის გაზ. „უსტავნა სერბია“ სახელმწიფოთა რეფორმატორულს მოქმედებას უწოდებს უკანასკნელ ფაზისად ბალკანეთის ერთა აღორძინებისა, რომელსაც დასაბამი დაედო ასის წლის წინად სერბიის აჯანყებით. გაზეთი მიეგებება „პრავიტელსტვენი ვესტნიკის“ ცნობას, რომ რეფორმები თანდა-თან იმატებს, და მშვიდობიანად უყურებს ბალკანეთის სლავიანთა ერებისადმი გაფრთხილებას, რომელიც ამტკიცებს, რომ სლავიანთა საქმეს მტერი ჰყავს, რომელსაც უნდა ვუფრთხილდეთო.

ბელგრადი. გაზეთი „სერ. ზასტ.“ კმაყოფილია, რომ დიდი სახელმწიფონი ჩაერივნენ მაკედონიის საქმეში და სცდილობენ მშვიდობიანობა მოუპოვონ მრავალ-ტანჯულს ერს, მაგრამ ამასთანავე დასძენს, ბევრს არას უშველის მაკედონიასა და ძველს სერბიას უბრალო მითითება რეფორმებზედო; საჭირო იყო, სახელმწიფოებს უფრო კარგად აღენიშნათ ნოტაში, რა რიგად უნდა მოხდეს რეფორმები, როგორი მოქალაქეობრივი უფლებანი ეძლევათ მაკედონელთაო; ამასთანავე უნდა განესაზღვრათ ოსმალეთის უფლებაო.

ვენა. იმპერატორი ვენაში წავიდა.

პეტერბურგი. „კანონმდებლობათა კრებულში“ დაბეჭდილია, ინსტრუქცია ბამბის და ქსელის დაწუნების შესახებ შეიცვალაო.

18 თებერვალს პეტრე-პავლეს ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი იმპერატორი ნიკოლოოზ I-ისა, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის თანდასწრებით.

19 თებერვალი.

რომი. პაპის იუბილეი იდღესასწაულეს პეტრეს ტაძარში წირვის გადახდით.

ნოვგოროდი. გარდაიცვალა ეპისკოპოსი არსენი.

ტომსკი. გამოვიდა პირველი ნომერი ყოველკვირეული ორგანო „ვესტნიკ სიბირსკოი ჟელეზნოი დოროგი“-სა.

პეტერბურგი. „მთავრობის უწყებებში“ გამოცხადებულია წესდება რუსულის კომიტეტისა შუა და აღმოსავლეთ აზიის შესასწავლად ისტორიულად, . არხეოლოგიურად და ეტნოგრაფიულად.

პეტერბურგის ბირჟა, 18 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,02½
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98¼ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	452¾ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	361¼ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	306 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82¾ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	91 წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	397 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	199 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

28 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია შემდეგი საქმეები

1) დავა კ. ბოკერიასი და ს. თათარაშვილისა.
2) დავა მ. ღლონტისა და ლ. ჯანდიერისა.

განცხადება

ხუთშაბათს, 20 თებერვალს, საღამოს რვა საათზედ, სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია **კავკასიის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოების წევრთა კრება.**

განსახილველი საგნებია.

1) მოხსენება კ. ა. სატუნინისა, გელის დაცემულ ვაკისა და მდ. მტკვრის სათავის შესახებ.

2) არჩევანი ნამდვილ წევრთა.

გარეშე ხალხს შეუძლიან კრებაზედ დაესწრას. შესვლა უფასოა.

(3—მ.—3)

GRAND PRIX
PARIS 1900
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К°

Парфюмерія
Махровая Сирень

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფასი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ლაბარატორია
რის გუტმანისა
მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

ВѢРНАЯ СМЕРТЬ.

ინდოური მიშუნაი
(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენეულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

ინდოური ფხვნილი მწერთა მოსასპობლად ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაძენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან საცმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ქია-ღუის წინაამდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ (ქიმიკოსის რის გუტმანისა). სამუდამოთ სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ. —1 მ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში.

(40—6.—7)

ახალი გამოცემანი
წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით ღ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებული ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
ჰიგიენური
ბორნო-ტიმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალისარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სახაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (40—6.—4)

ევროპიელი ქალი
ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის
ენის მცოდნე, იძლევა
გაკვეთილებს
მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ლამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

მიღებულია სულ ახლა-ხან დამზადებული ფირფიტები ევროპიელთა და აქაურ შესანიშნავ მომღერალთა სიმღერებისა.



გაფრთხილება!
კომპანია გრამოფონი
ტფილისი, გოლოვინის პრ., სახლი აბიანცისა, № 7.

ამით ვაუწყებთ პატივისცემით ჩვენს პატივცემულს მუშტარს, რომ გასასყიდად გამოიტანეს ბაზარში ჩვენის საგრამოფონო ფირფიტების და აპარატების კოპიოები. და აგრეთვე, სამწუხაროდ, ატყუებენ მუშტარს სხვა-და-სხვა მოსატყუებელით—ფასის დაკლებით, სხვა-და-სხვა დაპირებით და სხვ. და შედეგად ყველა ამისა ის არის, რომ არც ნაყიდი აპარატი და არც ფირფიტა აღარ გამოადგებათ ხოლმე გულ-გატეხილ მყიდველთ.

ვისაც სურს შეიძინოს გრამოფონები და მისი ფირფიტები, ვურჩევთ, იყიდონ ჩვენს მაღაზიაში, საცა მყიდველი თვითვე დარწმუნდება, რა განსხვავებაა ჩვენსა და სხვათა აპარატებში. პირველი-კი ის არის, რომ ჩვენის აპარატის მყიდველი ყოველთვის კმაყოფილი იქნება.

კატალოგი უფასოდ გაეგზავნება მსურველთ პირველ მოთხოვნილებისამებრ.

(7—2)

დიდ-ძალი გრამოფონები და ფირფიტები გვაქვს ამოსარჩევად.